



საქართველოს ქალაქ უნივერსიტეტი

შეხვედრა დიდი ალიარებით



„აბრეშუმის გზის მეორე კონვენციის შემუშავებას“ და „ევრაზიის უნივერსიტეტის კონსორციუმის“ ჩამოყალიბებას მიეძღვნა „ევრაზიის რეგიონის უნივერსიტეტის“ შეხვედრა მიმდინარე წლის 2 – 6 ივნისს თურქეთის ქალაქ ერზურუმში. ეს ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანი იყო როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე თავისი მასშტაბურობით. მასში მონაწილეობას იღებდა 40-ზე მეტი ქვეყნის 200-მდე უმაღლესი სასწავლებლის რექტორი და სხვა ხელმძღვანელი პირი, რომელთა შორის, ათათურქის პრეზიდენტის, პროფესორ შიქმეთ კოჩის ოფიციალური მინწევით, იყვნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია** და რექტორის მოადგილე, პროფესორი

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის, ბატონი **ზურაბ ვადაჭკორიას** მიერ წარდგენილმა პრეზენტაციამ თემაზე: „**კოლაბორაცია და ინტერნაციონალიზაცია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული არჩევანი**“, რის გამოც თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს სამედიცინო პროფილის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელმა პირებმა.

ინსტიტუციური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება; გლობალიზაციის გავლენა უმაღლეს განათლებაზე; თანამედროვე ეპოქა და უნივერსიტეტის ახალი სოციალური როლი; სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლის პროგრამები; ერთობლივი სამეცნიერო და აკადემიური თანამშრომლობა; ქვეყანათა შორის ინფორმაციათა გაცვლის ახალი შესაძლებლობები, – აი, ის ღირებულებები და მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც გვინახავს შეხვედრის მონაწილეებმა.

მაგრამ ეს შეხვედრა ყველაზე ღირებული და დიდი რეზონანსის მქონე არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვისაც იყო, რადგან 5 ივნისს ამ შეხვედრაზე ევრაზიის რეგიონის უნივერ-



სორი **რიმა ბერიაშვილი**. შეხვედრა ითვალისწინებდა მჭიდრო სამეცნიერო და აკადემიური კავშირების განვითარებას ევრაზიის რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებს შორის; ხელშეწყობას – საერთო საგანმანათლებლო ღირებულებების დამკვიდრებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. შეხვედრა დაიწყო თურქეთის მთავრობის წარმომადგენელთა მისალმებით, შემდეგ კი მოხსენებებით გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოების

სიტეტთა აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში 40-მდე ქვეყნის 200-მდე რექტორიდან არჩეულ 7 წევრში ერთ-ერთი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, რაც, უდავოდ, დიდი პატივი და დაფასებაა. ვულოცავთ ამ დიდ აღიარებას ბატონ რექტორს და მთელ სამედიცინო უნივერსიტეტს.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და მართვის სისტემის



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული ოფისის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ძალისხმევით, ჩატარდა ჯანმრთელობის რეგიონული ოფისის ადაპტირებული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული **სწავლება, კერძოდ, თსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების**

და მართვის სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებულმა სამაშველო-მობილური ჯგუფის წევრებმა გამართეს კომბინირებული სავსეს-სიმულაციური სწავლება – თსუ-ის ტერიტორიაზე მოწყობილი სავსეს-სამედიცინო პუნქტი, სადაც წარმოდგენილ იქნა ყველა ის საჭირო სამედიცინო-პრაქტიკული ვარჯიში, რაც მათ თეორიული სწავლებისას გაიარეს.

სწავლებას დაესწრნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი, ბატონი ანდრია ურუშაძე, ბატონი ზურაბ უტიამვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასევე, თსუ-ის ხელმძღვანელები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კოორდინატორი საგანგებო სიტუაციებში, ქალბატონი უტე ენდერლიანი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კოორდინატორი მარსელ დუბლო, რეფერალური დახმარების ცენტრის გენერალური დირექტორი, ბატონი კახაბერ ჩიხრაძე, დედაქალაქის და რეგიონების კლინიკების ხელმძღვანელები.

სამედიცინო უნივერსიტეტში მოწყობილ ტრენინგებში მონაწილეობდა ის ხალხი, რომლებმაც საგანგებო მდგომარეობის დროს უნდა შეძლონ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ამასთან, სხვა სამსახურებთან კოორდინაციაში, მონაწილეობა მიიღონ სიტუაციების მართვაში სამედიცინო დახმარების დროულად და ეფექტურად

გ ა ნ ხ ო რ - ც ი ე ლ ე ბ ი - ს თ ვ ი ს , - გ ა ნ ა ც ხ ა დ ა ბ ა ტ ო ნ მ ა ა ნ - დ რ ი ა უ რ უ შ ა - ძ ე მ , რომელმაც, ასევე, მ ა დ ლ ო ბ ა გ ა დ ა უ ხ ა დ ა სამედიცინო უნივერსიტეტის და მისი სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობას; - ცენტრი, ჯანდაცვის სამინისტროს თანადგომით და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეწყობით,



სულ ერთი წლის წინ გაიხსნა და უკვე ბევრის გაკეთება მოასწრო; - ძალზე შთამბეჭდავი იყო ის, რაც სტუდენტებმა გვიჩვენეს, ნამდვილად მოულოდნელი იყო მათი ასეთი „თავგანწირვა“ – სასცენო ნიჭის ელემენტებით, – დასძინა ღიმილით მინისტრმა.



საქმის შესრულება შეუძლიათ პერსექტივაში. მიხეილ ჯორბენაძე – თსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და მართვის სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორი: სცენარი მოიცავდა საფრთხე-სადაც გამოყენებულ იქნა 0,7კგ. ტროტილი, ადგილი ჰქონდა ხანძარს, იყო წყალდიდობის ნიშნები, ასევე, დიდი რაოდენობით მსხვერპლი. დაზიანებებიდან იყო არტერიული სისხლდენა, მოტეხილობები, ადგილი ჰქონდა ციანიდებით მონამვლას, გამობატულს კლინიკური ნიშნებით. ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების მიერ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები, რასაც მონაწილეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი.

სემინარი

ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრირების შესაძლებლობანი



15 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა საინფორმაციო სემინარი - „ევროპის კვლევით სივრცეში საქართველოს ინტეგრირების შესაძლებლობები“.

ბატონი თედორე დოლიძის მიერ წარმოდგენილი იყო ევროკავშირის კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო-პროგრამაში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის მონაცემები და სამომავლო პერსპექტივები.

ოკუჯავამ წარმოადგინა მეშვიდე ჩარჩო პროგრამის 2011 წლის სამუშაო გეგმის მიმოხილვა ჯანმრთელობის მიმართულებით, ხოლო ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსმა, მეშვიდე ჩარჩო პროგრამის პროექტის - EECALink-ის კოორდინატორმა საქართველოს მხრიდან, ქალბატონმა თეა გერგავამ აუდიტორიას გააცნო პროექტის - EECALink სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები.

სემინარის მეორე ნაწილში კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტის, მეშვიდე ჩარჩო-პროგრამის პროექტის - Inco-Net CA/SC-ის მონაწილის, ბატონი შალვა მაჭავარიანის მიერ წარმოდგენილი იყო საქართველოს უნივერსიტეტებთან ტექნოლოგიური ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის პერსპექტივა; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის საქართველოს ბიუროს უფროსის, ქალბატონი ირინა ხომერიკის მიერ წარმოდგენილი იყო მოხსენება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებულ პროექტებში ევროკავშირის მეცნიერთა ჩართულობისა და განვითარების პერსპექტივების თაობაზე, ხოლო საქართველოს კვლევებისა და განვითარების ფონდის პროგრამების კოორდინატორის, მეშვიდე ჩარჩო პროგრამის პროექტის - Inco-Net CA/SC მონაწილის, ქალბატონი ელენე გიორგაძის მოხსენება ეხებოდა აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის და საქართველოს კვლევებისა და განვითარების ფონდის მიერ სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერას ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის მიზნით.

პროფესორი მაია ოკუჯავა, თსსუ-ის სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი


კონფერენცია

პარტნიორული თანამშრომლობა გრძელდება



7-10 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები შალვა (დავით) ზარნაძე და ირინე ზარნაძე მონაწილეობას იღებდნენ V საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ერევანში გაიმართა და მიეძღვნა კურორტოლოგიისა და ფიზიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 80 წლისთავს.

ციის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პლენარულ სხდომებსა და სიმპოზიუმებში, სადაც წარადგინეს რამდენიმე მოხსენება.



ირინე უნივერსიტეტის მიერ დაიგეგმა არაერთი საქმიანი შეხვედრა, რომელთა მიზანი პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება და ერთობლივი პროექტების შემუშავებისათვის საფუძვლის ჩაყრაა.

საერთაშორისო კონფერენცია

სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერები კვლევის ახალი მეთოდებით



შაქრიანი დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიურ და ტრავმულ დაავადებებთან ერთად, საუკუნის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად ითვლება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საოცარი სისწრაფით იზრდება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობა, როგორც ზრდასრულებს, ასევე ბავშვებსა და მოზარდებს შორის.

ალტერნატივად განიხილება კუჭუკანა ჯირკვლის ინსულარული აპარატის, ანუ ლანგერჰანის კუნძულების ტრანსპლანტაცია რეციპიენტის ღვიძლის პორტულ ვენაში. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდის პირველი კლინიკური აპლიკაციიდან გასულია 15 წელიწადი, ის ჯერ კიდევ კლინიკური კვლევის ფაზაშია. ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც პანკრეასის ტრანსპლანტაციისას, პაციენტს ესაჭიროება იმუნოსუპრესია და, რაც მთავარია, ერთ რეციპიენტს ესაჭიროება სამი დონორი, რადგანაც კარის ვენაში კუნძულების შეყვანისთანავე მათი 50-80% ილუპება ე.წ. დაუყოვნებლივი სისხლით მედიირებული ანთების შედეგად. ამგვარად, დღესაც მიმდინარეობს მკურნალობის ალტერნატიული მეთოდების ძიება.



ერთ-ერთ ალტერნატიულ გზას წარმოადგენს ღეროვანი უჯრედების გამოყენება დიაბეტის სამკურნალოდ. კერძოდ, მათი დიფერენცირება ინსულინამაროდუციურ უჯრედებად. მეორე ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ტრანსპლანტაციის ოპტიმალური ადგილის მოძიება, რომელიც უზრუნველყოფს ჩანერგილი უჯრედების ადეკვატურ ოქსიგენაციას, ვასკულარიზაციას და პროლიფერაციას. სწორედ ამ პრობლემებზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიის დეპარტამენტში. ჩვენ მიერ მოწოდებული იქნა ნაწლავის იზოლირებული დემუკოზირებული სეგმენტი მკვებავ ფეხზე, როგორც ოპტიმალური ადგილი პანკრეასის კუნძულების ტრანსპლანტაციისათვის. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ გადან-

ერგილი უჯრედები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებენ ფუნქციურ აქტივობას. გარდა ამისა, ჩვენთან, ასევე, მიმდინარეობს კვლევები ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებისა და ლანგერჰანის კუნძულების კო-ტრანსპლანტაციის ეფექტურობისა და მათი ურთიერთქმედების მექანიზმის დადგენის მიზნით.

სწორედ ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს მიეძღვნა პანკრეასისა და ლანგერჰანის კუნძულების ტრანსპლანტაციის საერთაშორისო ასოციაციის XIII მსოფლიო კონგრესი, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 1-4 ივნისს ქ. პრაღაში (ჩეხეთი). კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში



გამოჩენილმა მეცნიერებმა: ჯ. შაპრომ (ლაბერტას უნივერსიტეტი, კანადა), დ. საზერლენდიმ (მინესოტას უნივერსიტეტი, აშშ), კ. რიკორდიმ (მაიამის უნივერსიტეტი, აშშ) და მრავალი სხვა.

მქონდა ბედნიერება, აღნიშნულ კონგრესზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით წარმომადგინა ორი მოხსენება: 1. „Bone Marrow Stem Cells and Islet Co-transplantation Promotes graft Revascularization and Function in Small Intestinal Submucosa“, 2. „Impact of Liver Microfragments and Islet Co-transplantation on the Streptozotocine Induced Diabetes in Rats“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილმა მოხსენებებმა დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეკატერინე ბერიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

კონფერენცია

სტუდენტები სოციოლოგიური კვლევებით

20 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ცისფერ დარბაზში“ ჩატარდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის პირველკურსელთა კონფერენცია, სადაც წარდგენილ იქნა მათ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები. კვლევები ეხებოდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა: მოსახლეობის დამოკიდებულება სამედიცინო დაზღვევის, ბალანსირებული კვების, ალკოჰოლის მოხმარების, დიეტისა და გასახდომი პრეპარატების, აბორტის, ხელოვნური განაყოფიერებისა და ოჯახური ძალადობისადმი.

ვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ბიძინა ზურაშვილი, ჯანდაცვის ფაკულტეტის სამედიცინო სოციოლოგიის სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ირინე ზარნაძე და სხვა პროფესორ-მასწავლებლები. მათ სტუდენტებთან ერთად განიხილეს არა მხოლოდ კვლევის შედე-

გები, არამედ აღნიშნულ პრობლემათა პრევენციის გზები და საჭირო რეკომენდაციები. კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

თეა ბაქრაძე, თსსუ-ის ჯანდაცვის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი



კონსერვაცია

პედაგოგები ქვეყნის სამსახურში უმცროსი თაობის სასიკეთოდ

ბავშვთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სოციალური პედაგოგიის დაცვის და ბავშვთა ჯანმრთელობის ფონდი, საერთოდ, პედაგოგთა დიდი კოორტა მნიშვნელოვანი ღონისძიებებით აღნიშნავენ; განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყოველწლიური კონფერენციები პროფესორ გიორგი ჩახუნაშვილის ხელმძღვანელობით, გამორჩეული მაღალი აკადემიური დონით და მუდმივი სიახლეებით.

წლებანდელი კონფერენცია თემატური მრავალფეროვნებით იქცევა ყურადღებას. იგი მიეძღვნა ცნობილი ქართველი პედაგოგის, პროფესორ ირაკლი ციციშვილის მოღვაწეობის 65 და პედაგოგიური საქმიანობის 60 წლის თარიღს. ბატონი ირაკლი ციციშვილი, საქვეყნოდ აღიარებული ექიმი, დღესაც ჩვეულ ფორმაშია, ძველებური სიყვარულით და ენთუზიაზმით ესათუება პატარებს, ისევ უნერგავს მომავალ თაობებს პროფესიის სიყვარულს და მათი გზამკვლევა მედიცინის ფართელაბირინთებში. სწორედ, სულ ახლახან, სოციალური პედაგოგიის დაცვის ფონდის, ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექტორის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების გადანაცვებით, დაარსებული პირველი „სტეტოსკოპის ვარსკვლავი“ სწორედ ბატონ ირაკლის გადაეცა პედაგოგიაში შეტანილი უდიდისი წვლილისთვის. მარ-

ტო იმის აღნიშვნა, რომ ბატონ ირაკლის გასინჯული ჰყავს 800 000-ზე მეტი პატარა, რომელთა გაჯანსაღებაში უმნიშვნელოვანესია მისი, როგორც მაღალპროფესიონალის, წვლილი. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია -

ნი ზელსი და აზერბაიჯანის ეროვნული სექციის თავმჯდომარე, ბატონი ნასრულაივი, რომელთაც გადაეცათ საქართველოს ეროვნული სექციის საპატიო სიგელი და სიმბოლური ქართული საჩუქრები. აქვე გაუღერდა სურვილი,

ზრდაზე. მედიცინაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, მაღლიერების სიგელი გადაეცათ პროფესორ ლევან ავალიანის ოჯახს, მედიცინის დოქტორს ზაზა ზარნაძეს და საერთაშორისო ბავშვთა ფონდის ვიცე-პრეზიდენტს,

აპარატურით და დანადგარებით აღჭურვილი კომფორტული ბავშვთა კლინიკა 110 სანოლზე, სადაც მუშაობს მიმღები სასწრაფო-გადაუდებელი სამსახური, უნიკალური ნეონატოლოგიური განყოფილება 30 სანოლზე, I და II პედაგოგიური განყოფილებები ყველა პროფილის პაციენტთათვის, ასევე, ქირურგიული განყოფილება, ახალშობილთა რეანიმაციული განყოფილებები თერაპიული და ქირურგიული პროფილით, მონზრდელთა რეანიმაცია საოპერაციოთი და რაოდენ სასახარულოა აღინიშნოს ის, რომ უახლესი აპარატურის, ამ თანამედროვე სისტემების გამოყენების და მეთოდოლოგიის დანერგვის ხარჯზე, საგრძობლად იკლო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

ფონდის მიერ და ახალი კლინიკის გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით, რომელთა შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც არიან, ერთი კვირის განმავლობაში გასინჯა და კონსულტაცია გაენიშა ასეულობით ნორჩ პაციენტს, მათ შორის იყვნენ აფხაზეთიდან ახლადგადმოსულები.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში უდაოდ დიდია პედაგოგების - სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლენელთა დიდი ღვაწლი.

დარეჯან კომლაძე



„თბილისი -გაზაფხული - 2011 NATO-ს კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი.

კონფერენციის სტუმრები გახლდნენ ევრომეცნიერების გენერალური მდივანი, ბატონ

ჩამოყალიბდეს რეგიონული სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს და იზრუნებს რეგიონში ახალგაზრდობის სამეცნიერო პოტენციალის რაოდენობრივ და ხარისხობრივ

გიორგი დოგნაძეს, ნიუ-იორკიდან.

პროფესორმა გოგი ჩახუნაშვილმა აღნიშნა მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებაც: დიდი ხანი არაა, რაც ჩვენს დედაქალაქს შეემატა უახლესი სამედიცინო

ახლა

მომავალი ექიმები მზრუნველობა მოკლევადიანი გავრცელების გზებით



სიცოცხლე მშვენიერია: ყველა წინააღმდეგობის, დაბრკოლების მიუხედავად, ის დიდი საჩუქარი და წყალობაა ღვთისა. ჩვენ, მომავალ ექიმებს და, საერთოდ, ექიმებს, ყველაზე კარგად გვესმის ეს და ამიტომაც ბოლომდე ვიბრძვი სიცოცხლის გადასარჩენად. ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომელთაც მხარდაჭერა სჭირდებათ, რომლებიც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან, რაც მათ მეტად უნდა იგრძნონ.


სწორედ ამ მოტივით, 8 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა საქველმოქმედო აქცია, რომელიც მიზნად ისახავდა განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრაციას. აქციის ორგანიზატორი იყო მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი, პროფესორი, ელენე აბზიანიძე და დეპარტამენტის პროფესორი ვიოლა ბერიშვილი) და მასთან არსებ-

ული სტუდენტური-სამეცნიერო კლუბი - „მომავალი ეკუთვნის გენეტიკას („მეგ“) და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა (ლონისძიების ორგანიზებაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ კლუბ „მეგ“-ის წევრები: მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის I-II კურსის სტუდენტები). საქველმოქმედო აქციაში მონაწილეები იყვნენ ბავშვები თბილისის 202-ე უსინათლოთა საჯარო სკოლიდან და გენეტიკურად დაავადებულითა ორგანიზაციიდან - „First Step“.

წარმოდგინდა იენა ელ. უებერის მიუზიკლით - „კატები“ („CATS) სკოლა British Connection-ის მოსწავლეების მონაწილეობით; მიუზიკლის დასრულების შემდეგ მონაწილე ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები

სპონსორებისგან (PSP, „თურმანიძის მალამო“), საჩუქრები გადასცეს, ასევე, თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის, ასევე, ფიზიოლოგიის დეპარტამენტებმა. ღონისძიება გაგრძელდა გამოფენა-გაყიდვით, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 202-ე სკოლის, „First Step“-ის ბავშვები და თსსუ-ის სტუდენტები. შემოსული თანხა მთლიანად გადაეცათ 202-ე სკოლას და „First Step“-ს.

ჩატარებულ საღამო პოზიტიურად შეაფასა დამსწრე საზოგადოებამ, კმაყოფილი დარჩნენ განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები და მათი მეურვეები, რომელთაც გამოთქვეს სურვილი თსსუ-სთან სამომავლო თანამშრომლობისა.



საყურადღებოა, რომ კლუბი „მეგ“-ი აგრძელებს 18-წლიან ტრადიციას და მომავალ წელს გეგმავს ფართო მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას.

თამარ ქვარცხავა, სტუდენტურთა სამეცნიერო კლუბ „მეგ“-ის პრეზიდენტი, მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი, სრული პროფესორი, ნიკოლოზ კინტრაია.

მაღალპროფესიონალურად ჩამოყალიბების გზაზე



ტუტის დირექტორი, პროფესორი **ზაზა ბოხუა**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი, სრული პროფესორი, ნიკოლოზ კინტრაია.

ლონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ თბილისის და ბათუმის წამყვანი მეან-გინეკოლოგები, ასევე, თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **დავით ჭავჭავაძე**,

თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **თინა ჩიქოვანი**, **ლიკა უმიკაშვილი (JSI)**, **ქართლოს კანკაძე (JSI)**, **ეკა ფესტვენიძე (JSI)**.

დასასრულს ყველა მომსენებელს გადაეცა სერტიფიკატი.

ჟიურში და დამსწრე საზოგადოებამ აქტიური მხარდაჭერა გამოთქვა მსგავსი ტიპის სამომავლო პროექტების მიმართ.

ეთერ მარგალიტაძე, პირველი კურსის რეზიდენტი.



11 ივნისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის, თსსუ-ის მეან-ობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის, **JSI** და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართვლობის ორგანიზებით, გაიმართა მეან-გინეკოლოგ რეზიდენტთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია: **„ეფექტური პერინატალური მოვლის თანამედროვე ასპექტები და უახლესი მიღწევები გინეკოლოგიაში“**.

კონფერენციის გახსნაში მონაწილეობდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტი-

შეხვედრა 60 წლის შემდეგ

ტრადიციულ შეხვედრაზე ქვეყნის მოამაგე ადამიანები – ღვანლმოსილი ექიმები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის **1951 წლის** კურსდამთავრებულები უკვე **მესამოცედ** შეხვედრენ ერთმანეთს – ყოფილმა თანაკურსელებმა, ამჟამად ღვანლმოსილმა ექ-

იმებმა – დიდი სიყვარულით მოიკითხეს ერთმანეთი, გაუზიარეს არაერთი სიახლე და სიყვარულით გაიხსენეს თავიანთი პედაგოგები და პროფესორები პეტრე ბუაჩიძე, ლევან ავალიანი, პედიატრიული ფაკულტეტის მაშინდელი თეორიული და კლინიკური კათედრების პედაგოგიური პერსონალი, რომ-

ლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მათი, როგორც მომავალი ექიმი სპეციალისტების ჩამოყალიბების საქმეში.

სასიამოვნოა, რომ ეს ამაგდარი ხალხი, 8 და 9 ათეულს რომ ითვლიან, ისევ მხნედ არიან, დიდი სიყვარულით გულანთებულნი, არას იშურებენ მოყვასისთვის, სამაგალითონი არიან უმცროსი კოლეგებისთვის, დღევანდელი ახალგაზრდობისთვის...

ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ ამაგდარ ექიმებს, სასიკადალო ადამიანებს, დიდხანს არ მოკლებოდეს ის სიყვარული და პატივისცემა, რაც ათეულწლოვანი თავდადებული შრომით დაიმსახურეს...

პროფესორი **რომანოზ სვანიშვილი**, სამედიცინო ინსტიტუტის 1951 წლის კურსდამთავრებული



ჩვენი იუბილეო

მართლაც შეჯვარის ქებათა ქება...



ვნერ კაცზე, რომელსაც ყველა იცნობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და რომლის მოღვაწეობის 45 წლის მანძილზე მასზე განაწყენებული, აუგის მთქმელი არავინაა. კეთილშობილების განსახიერება, საქმისადმი ერთგული და თავდადებული, უანგარო, მეგობრული, სხვისი დახმარების სურვილით აღვსილი, – აი, ის ეპითეტები, რაც ზუსტად მისადაგება სამედიცინო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების მთავარ სპეციალისტს, ბატონ ბესარიონ (ბორია) ჯანიაშვილს. ამასვე ადასტურებს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსის, ბატონი მიხეილ რობაქიძის, რომელიც, ასევე, ათეული წელიწადის ღირსეულად ემსახურება თავის საქმეს სამედიცინო უნივერსიტეტში, სიტყვები: „ბატონ ბესარიონს ღირსი წილი უდევს განყოფილების საქმიანობაში. შრომისადმი მისი დაუღლე დამოკიდებულება, პირადი თვისებები სამაგალითოა ყველასთვის. რასაც სტუდენტთა უმეტესობა, პროფესორ-მასწავლებლები თუ აკადემიური პერსონალი დაუფიქრებლად დაადასტურებენ.“

ბატონ ბორიას პირადულზეც ბევრი აქვს სადარდებელი, ამიტომაც, საქმეში გართული ხშირად მინახავს ნაღვლიანი სახით, მაგრამ მისალმებისას ნირს სწრაფად იცვლის და ღიმილს შეგაგებებს, თბილად მოგიკითხავს: რამ შეგანუხათ, ჩემგან ხომ არ გჭირდება არაფერი და ამით საკუთარ ვარამზე ყურადღებას გაგაფანტვინებს.

„კაცს მაშინ ჰშვინს ქვეყნად არსება, თუ ცხოვრებაში ის მამაცია,“ – დიდი აკაკის ეს სიტყვები სწორედ რომ ბატონ ბორიასაც ეკუთვნის, რადგან თავისი სიმამაცით, გარჯით, პირადი დარდით თუ სატიკვართით ღირსეულად ეწევა ჭაპანს ამ ცხოვრებისა...

აი, რას ამბობს ჩემთან საუბარში პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სრული პროფესორი, ბატონი ვახტანგ ყიფიანი იუბილარის შესახებ: „ბატონ ბორიასთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს. არ მიყვარს ასეთი გამოთქმა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სრულად მისადაგება მის პიროვნებას. ადრე რომ, კარგი გაგებით, კაცურ კაცს უწოდებდნენ, ისეთია. იგი საქმისა და ადამიანის ერთ-

გულია, ძალიან ენერგიული და მშრომელია. როგორც მთიელ კაცს, ახასიათებს პირდაპირობა, სიმართლის მოყვარება. აქედან გამომდინარე, იშვიათად, მაგრამ ფიცხიცაა, თუმცა მეორე წუთს უქრება ეს სიფიცხე, ამიტომაც მის გულში შურისგება არასოდეს ისადგურებს, საოცრად მიმტევებელია. არ მახსოვს ბატონ ბორიას ვინმესთან კონფლიქტი ჰქონოდა ან ვინმე დაეებულებინოს. თუ რამ კარგია ჩვენს სამედიცინო ქალაქში, მისი დამსახურებაა. გაჭირვების ტალკვესია, თუ რამ გჭირდება, მას მივმართავთ და ისიც ოპერატიულად, დაუწყვედრებლად გვიგვარებს პრობლემას. ჰყავს კარგი ოჯახი. მისი შვილი ჩემი სტუდენტი იყო – სანიმუშოდ აღზრდილი და მოწესრიგებული. ბატონი ბორიასადმი პატივისცემას მიორმაგებს ისიც, რომ მას ძალიან უყვარს თავისი წარმომავლობა, ფესვები...“

პროფესორი ვახტანგ ყიფიანის ამ ბოლო ფრაზიდან იწყებს ჩემთან საუბარს ბატონი ბორიას შესახებ საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბატონი თემურ პეტრიაშვილი: „სტუდენტური წლებიდან ვიცნობ ბატონ ბორიას. იგი წარმოშობით არაგვის ხეობიდანაა, 300 არაგველის თანამემამულეა. ალბათ ამიტომაც დაჰყვა ერთგულებისა და ვაჟკაცობის ნიჭი. მან ზეპირად იცის სამედიცინო ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭული. არ არსებობს ტექნიკური პრობლემა, რომლის მოგვარება მას არ შეეძლოს ოპერატიულად და ხარისხიანად. ყოველთვის მომართულია დასახმარებლად, გული შესტკივა სამედიცინო უნივერსიტეტზე, რადგან ის მისთვის მშობლიურია და, როგორც ოჯახზე, ისე ზრუნავს მასზე. ბატონი ბორია მეგობრული და სიკეთით სავსეა.“

ბედნიერია ადამიანი, როცა მასზე ასეთ საქებარ სიტყვებს იტყვიან... „სამედიცინო გაზეთის“ რადაქცია სრულიად ეთანხმება ბატონების: ვახტანგ ყიფიანის, თემურაზ პეტრიაშვილის, მიხეილ რობაქიძის მიერ გამოთქმულ აზრს ბატონი ბორიას შესახებ და გულწრფელად ულოცავს მას საიუბილეო თარიღს, უსურვებს მხნეობას, კვლავ წარმატებებს და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ინტერვიუ

შინაგანი მედიცინის პატრიარქი გარდაიცვალა

არა მხოლოდ სამედიცინო საზოგადოებამ, მთელმა ქართველმა ერმა, დაკარგა გამოჩენილი მამულიშვილი, დიდი კლინიცისტი-ინტერნისტი, გასტროენტეროლოგი და საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევარი, პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილი.

იგი დაიბადა თბილისში ცნობილი ჟურნალისტის და ისტორიკოსის, ქრისტეფორე რაჭველიშვილის და ექიმ-სტომატოლოგ ნინო ხარატიშვილის ოჯახში. მისი დაბადება (1922 წლის 30 ოქტომბერი) დაემთხვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას.

ბატონი ქრისტეფორე იარაღით ხელში ებრძოდა მე-11 არმიას. 1921 წლის 25 თებერვალს დამარცხებულ ქართულ არმიას გაჰყვა ჯარისკაცი ქრისტეფორე რაჭველიშვილიც. სურამის უღელტეხილზე მას პარტახტიანი ტიფი შეეყარა. ის უეჭველი სიკვდილისგან იხსნა თანაპოლკელმა ჯარისკაცმა ორჯონიკიძემ და საიმედოდ გადაამალა საკუთარ სახლში, სადაც ყურადღებას არ აკლებდა.

ქრისტეფორეზე ბოლშევიკებს ძებნა ჰქონდათ გამოცხადებული, ამიტომ ახლობლებთან იმალებოდა. ამ დროს მისმა მეუღლემ იმშობიარა. ჩეკისტები დღედაღამ უთვალთვალდნენ ქალბატონ ნინოს, იმ იმედით, რომ ახალშობილის სანახავად მისულ მამას დააპატიმრებდნენ. მეგობარმა მევან-გინეკოლეგებმა ქრისტეფორე თეთრი ხალათით შემოსეს და, ვითომც კონსულტანტი, მიიწვიეს სამშობიაროში. „შემოვლისას“ მამას მხოლოდ თვალი შეავლო ბიჭუნას და მას ბაადური დაარქვა.

ჩეკისტების ფხიზელ თვალს, ადრე თუ გვიან, მაინც მოხვედებოდა მიმალვაში მყოფი ბატონი ქრისტეფორე. ამ დროს მძიმე ვითარებიდან გამოსავალი მოძებნა ბაადურის დეიდამ, რომელმაც ლავრენტი ბერიას დედას – მართა ჯაყელს – შუამდგომლობა სთხოვა, შვილისგან ქრისტეფორესთვის „თავისუფლების ფირმანი გამოეთხოვა“.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბერიამ გაითვალისწინა დედის თხოვნა და ქრისტეფორე თავისთან იხმო და კომპრომისული პირობა წაუყენა, რომ იგი დაგმობდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას და მე-11 არმიას განმათვისუფლებლად ცნობდა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ბერიამ, რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, დაეთანხმებინა ქრისტეფორე თავის წინადადებაზე, გადაწყვიტა ამ ურჩი „ნაციონალისტის“ დაპატიმრება, რასაც მოჰყვა ბერიას დედის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა, რის შედეგადაც ქრისტეფორე დაპატიმრებას გადაურჩა, მაგრამ მხოლოდ – 10 დღით; მალე ბერიამ იგი „ზაკჩეკაში“, თავის კაბინეტში, დააპატიმრა, სადაც 1924 წლის ივნისამდე დაჰყო. თუმცა ბატონი ქრისტეფორეს 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია, იგი

მაინც პატივისცემით იხსენიებდა მის მონაწილეობას, განსაკუთრებით ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულ რაზმელებს.

ბატონმა ქრისტეფორემ 1928 წელს 6 წლის ბაადური თავის მეგობარ კათოლიკოს ქრისტეფორეს (ცინცაძე) ფარულად მონათვლინა, რაც მაშინდელ უღმერთო საზოგადოებაში საკმაოდ სახიფათო იყო. **ნ**კათოლიკოსი კალისტრატე კონსპირაციულად ასრულებდა ღვთისმსახურებას. ბატონი ბაადური სიცოცხლის ბოლომდე იგონებდა ამ ამბავს და სასოებით ინახავდა კათოლიკოსის ნაჩუქარ ოქროს ჯვარს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ბაადურის ბავშვობის დროინდელი მეგობრები იყვნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი და ცნობილი ისტორიკოსი კოტე ჩილიყაშვილი.

ბატონმა ქრისტეფორემ შვილის აღზრდა ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის და ფსიქოლოგის, რუდოლფ შტაინერის, მეთოდით დაიწყო – იგი დაჰყავდა დრამატულ და საოპერო სპექტაკლებზე იმ მიზნით, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების გაცნობა ხელს შეუწყობდა ბავშვის გემოვნების და მაღალი ინტელექტის ჩამოყალიბებას. სრულიად პატარა ბაადურს უნახავს სანდრო ახმეტელის ნოვატორული სპექტაკლები, მოუსმენია იმ დროის დიდი მომღერლებისთვის, დამტკბარა დიდი რეჟისორის, ევგენი მიქელაძის დირიჟორობით აუღერებული „დაისით“, „აბესალომ და ეთერი“, სიმფონიებით, ასე რომ, შტაინერის მეთოდით ბაადურის აღზრდა სასარგებლო გამოდგა. უკვე მცოცვანი ბატონი ბაადური, შტაინერის ნაკითხვისას, დარწმუნდა, რომ რომ მამამ მისი აღზრდა-განათლებისთვის სწორი გეზი აიღო. მამა ყურადღებას აქცევდა, რომ მოზარდში არ ჩამოყალიბებულიყო შურის გრძნობა, რისთვისაც იმონებდა სულხან-საბას ცნობილ განმარტებას – „შური არს მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“.

ბაადურის პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ქრისტეფორეს მეგობრებმა: კონსტანტინე გამსახურდიამ, მიხეილ საყვარელიძემ, ირაკლი ამირეჯიბმა, ივანე ჯავახიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, შალვა შარაშიძემ („თაგუნამ“), სიმონ ჯანაშიამ, პავლე ინგოროყვამ, ნიკო ჯანდიერმა, სოლომონ ხუციშვილმა, ალექსანდრე ქუთათელმა და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ ბატონი ქრისტეფორე პატარა ბაადურს ქართული სუფრის ტრადიციებს აზიარებდა: ბავშვი ეცნობოდა ქართული ნადიმის წესებს, მოსწრებულ სიტყვა-პასუხს, კორექტულ ქცევებს. მან ზედწინწინით კარგად შეითვისა ინტელექტუალური იუმორი. დალოცვილი კახური ღვინის მირთმევის შემდეგ, ბატონი



ბაადურ რაჭველიშვილი (1922-2011)

„შენებ რჩეულებს ათასში ერთხელ ზეცა უგზავნის მინას იმედად“.

აკაკი

ქრისტეფორე წარმოთქვამდა ცნობილი პოეტების ლექსებს, შედეგებს ქართული ხალხური პოეზიიდან. პატარა ბაადური სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას ამ „პოეტურ შეჯიბრებაში“ და თავადაც უშეცდომოდ აგრძელებდა დაწყებულ სტრიქონებს... მდიდარი მესხიერების წყალობით, უამრავი ლექსი ახსოვდა, რითაც იგი დიდად აოცებდა სტუმრებს...

ბატონ ბაადურზე განსაკუთრებული გავლენა მოუხდენია დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას. ქრისტეფორე და კონსტანტინე დამეგობრდნენ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. იქ ყმანვილებმა პროკლამაციები დაბეჭდეს და საზოგადოებაში გაავრცელეს. მეამბოხე გიმნაზიელები მალე სასწავლებლიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხეს, მაგრამ იოსებ ოცხელის და სილოვან ხუნდაძის – ძალისხმევით მოხერხდა მათი აღდგენა.

ქრისტეფორე და კონსტანტინე გამსახურდია ებრძოდნენ სოციალ-დემოკრატების ანტიეროვნულ პოლიტიკას, რის გამოც ისინი გადაასახლეს შორეულ რუსეთში. საქართველოში დაბრუნებულები კი პავლე ინგოროყვასთან ერთად გარიცხეს მწერალთა კავშირიდან. ქრისტეფორე რაჭველიშვილმა გამოსცა ისტორიოგრაფიული ნიგნები და ბიოგრაფიული ნარკვევი „ილია ჭავჭავაძე“.

1937 წელს შინსახკომის ჯალათებმა დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს ქრისტეფორე. დარჩა 15 წლის ბაადური მარტოხელა დედასთან ერთად. ერთადერთი, ვინც ბედავდა ოჯახის დახმარებას, ქრისტეფორეს განუყრელი მეგობარი, კონსტანტინე გამსახურდია იყო. ქრისტეფორეს ციხეში სასტიკად აწამებდნენ და აიძულებდნენ შეითინილ ბრალდებებზე მოენერა ხელი, თუმცა, მიუხედავად გაუსაძლისი ზე-

ნოლისა, მას არავინ დაუსახელებია. ქრისტეფორეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს – ე. წ. ტროიკამ მას დახვრეტა მიუსაჯა, რაც სისრულეში მოიყვანეს. ამის შესახებ ოჯახს არ შეატყობინეს, მხოლოდ 1956 წელს მოხდა ქრისტეფორე რაჭველიშვილის რეაბილიტაცია. მალე ოჯახს, ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას ძალისხმევით, დაუბრუნდა ჩამორთმეული ბინა.

ამ პერიოდში „ხალხის მოლაპატნე“ შვილს, ბაადურ რაჭველიშვილს, მძიმე ცხოვრება ჰქონდა – გარიცხეს პიონერთა რიგებიდან, არ მიიღეს კომკავშირში, რის გამოც დიდად არ უღარდია. 1939 წელს იგი შევიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე; 1940 წელს კი ბატონი ბაადური შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, სადაც ის, მომავალში მედიცინის სახელოვან წარმომადგენლებთან – ლევან ჭაჭიაშვილთან, რეო ხოფერიასთან, შოთა გამყრელიძესთან, გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, კორნელი კეკელიძის ღირსეულ თანამოსახელესთან, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმთან – კორნელი კეკელიძესთან, ვახტანგ ხუციძესთან, კონსტანტინე მაღჩთან და სხვებთან ერთად სწავლობდა. 1944 წელს ბაადურ რაჭველიშვილმა წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და განაწილებით დაიწყო მუშაობა ხულოს რაიონის საექიმო პუნქტის გამგედ, სადაც უხდებოდა მრალპროფილური მუშაობა – იყო თერაპევტი, ქირურგი, პედიატრი, მეანი... მისი საექიმო უბანი მოიცავდა 14 მაღალმთიან სოფელს. გარდა ამისა, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას წარდგინებით, იგი ჩაირიცხა ისტორიის ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის განყოფილების ასპირანტურაში.

1950-60 წლებში იყო რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ორდინატორი და ენდოსკოპიური კაბინეტის გამგე. მოსკოვის კლინიკებში ათვისა კუჭის ენდოსკოპია შიდლერის მეტალის ხისტი აპარატით, რომელიც ძალიან ძნელი იყო. ასევე, ათვისა ბრონქოსკოპიის მეთოდი, რამაც დიდი სახელი მოუტანა. ერთხელ მასთან მიიყვანეს მძიმე ავადმყოფი ფილტვის კიბოს საეჭვო დიაგნოზით. ბატონმა ბაადურმა პაციენტს ბრინქოსკოპიით ამოუღო ჩირქი და კიბოს დიაგნოზი შეცვალა ფილტვის აბსცესის დიაგნოზით. სასიკვდილოდ განწირული ქალი სიკვდილს გადაურჩა.

მისი სახელი, როგორც ბრწყინვალე სახალხო მკურნალის, ცნობილი გახდა მთელ საქართველოში, არაერთი ადამიანი, სწორი და დროული მკურნალობით, სიკვდილისგან იხსნა. 1957 წელს ბაადურ რაჭველიშვილი დაქორწინდა ექიმ ლამარა კანდელაკზე და

შეეძინა ორი შვილი – ნინო და ნათია. ახალდაქორწინებულებს კოლხურ კომპოში უმასპინძლა და დალოცა კონსტანტინე გამსახურდიამ.

1957 წელს ბაადურ რაჭველიშვილი იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე – „შინაგანი მედიცინის საკითხები ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში“, რომელსაც დიდი შეფასება მისცა კონსტანტინე გამსახურდიამ. მისი ამაგი პროფესორმა ბაადურ რაჭველიშვილმა დიდი მწერლის ოჯახზე თავდამტყდარი გაჭირების ყამს თანადგომით გამოხატა.

1961-1986 წლებში ბაადურ რაჭველიშვილი გადადის სამედიცინო ინსტიტუტის პოსპიტალური თერაპიის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე, სადაც ხდება ჯერ დოცენტი, შემდეგ – პროფესორი. 1986 წელს ირჩევენ შინაგან სწეულე-ბათა კათედრის გამგედ; 2007 წლიდან არის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. ავტორია 10 მონოგრაფიის, 160-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის და ისეთი მნიშვნელოვანი ნიგნებისა, როგორცაა, „გასტრობოლოგია კლინიკურ პრაქტიკაში“, „სასოფლო-სამეურნეო პესტიციდები და კუჭის დაზიანება“, „კუჭ-ნაწლავის მიკროფლორა და მისი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე“, „კრონის დაავადება“, „მაღალსოფრის სინდრომების დიფერენციული დიაგნოზი და მკურნალობა“ და ა.შ. მისი საექიმო დისერტაცია „ქრონიკული გასტრიტი სოფლის მაცხოვრებლებში“ ჩათვალა საექტაპო ნაშრომად.

პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილი ბოლო წლებში მუშაობდა ნაღველკენჭოვანი დაავადების საკითხებზე ასპირანტ გელა სულაბერიძესთან ერთად. იყო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტი, გასტროენტეროლოგი, შ. მიქელაძის სახელობის საქართველოს გასტროენტეროლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და უცვლელი პრეზიდენტი.

ბატონი ბაადური იყო რეპრესირებული საზოგადოება „მემორიალის“ სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ექიმთა თაობების აღზრდაში, ბევრ ახალგაზრდა მედიკოსს გაუკვალა გზა მეცნიერებაში. ბატონი ბაადურის სიბერის ყამსაც მხნედ და ლამაზად გამოიყურებოდა. სამწუხაროდ, ავთვისებიანმა სენმა „უკანასკნელ ომში“ მაინც დაამარცხა სიკვდილთან მრავალჯერ გამარჯვებული დიდმკურნალი.

შინაგანი მედიცინის პატრიარქის, ბაადურ რაჭველიშვილის, გარდაცვალებით დამთავრდა ქართული გასტროენტეროლოგიის კლასიკური ეპოქა...

შალვა მიქელაძის სახელობის საქართველოს გასტროენტეროლოგთა ასოციაციის გამგეობა, საზოგადოება „მემორიალის“ გამგეობა

1957 წელს ბაადურ რაჭველიშვილი დაქორწინდა ექიმ ლამარა კანდელაკზე და

მოგონებები ბარდასულ დღეთა



(დასასრული; დასაწყისი იხ. „სამედიცინო გაზეთი“ №№4,5, 2011 წ.)

ვიშნევსკის სახელობის ინსტიტუტში დავესწარი რამდენიმე საჩვენებელ კონფერენციას გულსა და ფილტვებზე. თბილისში დაბრუნებისთანავე გამოვაქვეყნე წერილი „კიბერნეტიკა და მედიცინა“ („მედიცინის მუშაკი“, 1963 წელი, №8). მოგვიანებით კი, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ეგიდით, რომლის თავმჯდომარეც მაშინ ვიყავი, ჩავატარე კონფერენცია თემაზე – „კლინიკური მედიცინა და კიბერნეტიკა“, რაც ამ მიმართულებით გამართული პირველი კონფერენცია გახლდათ კავშირის მასშტაბით. კონფერენციის ჩატარება განსაკუთრებული სიხარულით აღიქვა ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა მიხეილ სააკაშვილმა. ბატონ მიხეილს დავუახლოვდი სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში. უნდა ითქვას, რომ იგი იყო შესანიშნავი ექიმი, პედაგოგი და მეცნიერი. მისი ხელმძღვანელობით, ი. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ეგიდით, მოვაზადეთ და წარმატებით ჩავატარეთ რამდენიმე გამსვლელი კონფერენცია საქართველოს რაიონულ ცენტრებში.

განუზომელია პროფესორ მიხეილ სააკაშვილის ღვაწლი ქართული მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ დროს აქტიურად ვთანამშრომლობდი პროფესორ მარიამ კვიციანიანთან. ქალბატონი მარიამი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო სისხლის პლაზმის ცილებით. იმ დროს შეისწავლებოდა ჰიპოთერმია, მას უკვე იყენებდნენ გულის ქირურგიაში. შევთავაზე ქალბატონ მარიამს ჰიპოთერმიის დროს პლაზმის ცილების და ცილათა ფრაქციების შესწავლა ექსპერიმენტში. იგი, არამცთუ დამთანხმდა, არამედ საკუთარი ხარჯებით შეიძინა ექსპერიმენტული ცხოველები. კათედრასთან, პროფესორ დავით იოსელიანის მიერ, დაარსებული იყო ექსპერიმენტული საოპერაციო, სადაც პირველივე შესაძლებლობისას გავაკეთე

კუჭის რეზექცია, ქალბატონი მარიამის დახმარებით. ლიტერატურაში ვერ მივაკვლიე ცნობას თუ, ნარკოზის ფონზე ჰიპოთერმიის პირობებში, რომელ გრადუსზე წყდება სპონტანური სუნთქვა. ექპერიმენტებით სამ ძალზე დავადგინე, რომ ნატრიუმის თიოპენტალით ინტრავენური ნარკოზის ფონზე მიმდინარე ჰიპოთერმიის დროს სპონტანური სუნთქვა წყდება 24 გრადუსზე ცელსიუსით. მსგავსი მონაცემები არ შემხვედრია ლიტერატურაში, თუმცა, გულდასმით არც მიძებნია.

სისხლის შრატის საერთო ცილას და მის ფრაქციებს ვსწავლობდით ელექტროფორეზით, ვადგენდით დენსიტომეტრიულ მრუდებს. შედეგების შეჯამების შემდეგ, დავინერო შრომა და გავაგზავნე უკრაინის სამედიცინო და ფარმაცევტული ინსტიტუტების სტუდენტთა პირველ გაერთიანებულ კონფერენციაზე.

მეოთხე კურსზე დიდი ინტერესით ვისმენდი პროფესორ ევანტე ფიფიას შთამბეჭდავ ლექციებს. ვესწრებოდი მის და მისი მონაწიეების ოპერაციებს. ხანდახან ვმონაწილეობდი კიდევ ოპერაციებში. იქვე დავინერო შრომა „ნაღვლის კენჭით გამონეული ნაწლავთა მწვავე გაუვალობის“ შესახებ. შრომა მოხსენდა ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, გამოქვეყნდა სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებულის მე-3 ტომში. ამ შრომის შესრულებისას ჩამომიყალიბდა სწორი და მყარი შეხედულება ნაწლავთა ინტერმისიულ გაუვალობაზე.

რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე ექიმად მუშაობისას, ნაწლავთა მწვავე ინტერმისიული გაუვალობის დიაგნოზი (მწვავე ინტერმისიული გაუვალობის ინვევს წვირლ ნაწლავში მოხვედრილი ნაღვლის ბუმტის დიდი კენჭი ან ბეზოარი) დავსვი ქალაქ გურჯაანის საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში და ქალაქ გორის რაიონული საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში. ორივე ავადმყოფს იქვე გავუკეთე ოპერაცია კარგი შედეგით.

მეოთხე კურსზე გავდიოდით ინფექციურ სნეულებებს. კათედრის გამგე გახლდათ შესანიშნავი ექიმი პედაგოგი და მეცნიერი, პროფესორი გიორგი

კვიციანიშვილი. იგი კითხულობდა საინტერესო ლექციებს, რომელთაც თან სდევდა არტიტიზმის ელემენტები, რაც მათ უფრო შთამბეჭდავს და დასამახსოვრებელს ხდიდა. მისი შემოვლები გამოირჩეოდა ღრმა ანალიზით. პრაქტიკულ მეცადინეობას გვიტარებდა ბატონი ასლან ხაბაზი, კოლიტების განყოფილებაში. შევამჩნიე, რომ ავადმყოფთა აბსოლუტურ უმრავლესობას, გაკეთებული ჰქონდა აპენდექტომია. მათთან გასაუბრებისას დავადგინე, უმრავლესობას ოპერაცია გაკეთებული ჰქონდათ ქრონიკული აპენდიციტის დიაგნოზით და ოპერაციის შემდგომ, თითქმის ყველას, გაუუარესდა კოლიტის მიმდინარეობა. მოპოვებული მასალის საფუძველზე გავაკეთე დასკვნა, რომ აპენდექტომიის შემდეგ უარესდება კოლიტის მიმდინარეობა, ხოლო ის ფაქტი, რომ ავადმყოფთა აბსოლუტურ უმრავლესობას ოპერაცია უკეთდებოდა ქრონიკული აპენდიციტის დიაგნოზით, მაძლევდა საფუძველს, მევარაუდო, რომ ავადმყოფების საკმაოდ დიდ ნაწილს არ ჰქონდა ქრონიკული აპენდიციტი, უკეთეს შემთხვევაში, ჰქონდათ ქრონიკული კოლიტის გამწვავება. შრომა გავაცანი ბატონ გიორგი კვიციანიშვილს, მან შემაქო და დამავალა მოხსენების გაკეთება თბილისის ინფექციონისტთა საზოგადოების სხდომაზე. მოხსენება – „აპენდექტომიის გავლენა კოლიტის მიმდინარეობაზე“ – წარვადგინე ქ. თბილისის ინფექციონისტთა საზოგადოების სხდომაზე. ამავე საკითხზე მოხსენება გავაკეთე შოთა რუსთაველის დაბადებიდან რვაასი წლის იუბილისადმი მიძღვნილ თბილისის სტუდენტთა საქალაქო სამეცნიერო კონფერენციაზე (1965წ). მომდევნო წლებში ბატონი გიორგი ყოველთვის გვერდში მედგა და ბევრი გააკეთა ჩემი წინსვლისათვის. მე კი განვავრცე მასალის შეგროვება და მოგვიანებით გამოვაქვეყნე კიდევ შრომა – „აპენდექტომიის შორეული შედეგები ქრონიკული კოლიტით დაავადებულ ავადმყოფებში“ (1969წ). მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარმა ქირურგმა, პროფესორმა ნ. კუზინმა, შემოიარა მთელი ქვეყანა, იყო თბილისშიც მოხსენებით, იმის შესახებ, რომ ქვეყანაში კეთდება უამრავი აპენდექტომია ქრონიკული აპენდიციტის მცდარი დიაგნოზით, რაც დაუშვებელია...

მეზუთე კურსზე დავგვეყო ჰოსპიტალური თერაპია. ლექციას გვიკითხავდა პროფესორი კონსტანტინე ვირსალაძე, შესანიშნავი ექიმი-გასტროენტეროლოგი, პედაგოგი და მეცნიერი, დიდი მამის ღირსეული შვილი და ბრწყინვალე შვილების ღირსეული მამა. პრაქტიკულ მეცადინეობებს გვიტარებდნენ დოცენტი ოქროპირ გოგიბერიძე

და ასისტენტი გივი კაციტაძე – მაღალი რანგის თერაპევტი. ბატონი კოტე შესანიშნავად კითხულობდა ლექციებს, მისი შემოვლა ნამდვილი სკოლა იყო არა მხოლოდ სტუდენტთათვის, არამედ ექიმებისათვისაც. ერთ-ერთ შემოვლაზე ბატონ კოტეს მოახსენეს, რომ ავადმყოფს აქვს კუჭის წვენის ძლიერ მაღალი მჟავიანობა, რამდენიმეჯერ ჰქონდა სისხლისდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. ამ დროს ჩავილაპარაკე: – ცოლინგერ-ელისონის სინდრომი ხომ არ აქვს-მეთქი. ბატონმა კოტემ ყური მოჰკრა ჩემს ნათქვამს, გაარღვია ამაღა და იკითხა ვინ ახსენა ცოლინგერ-ელისონის სინდრომი. ოქროპირ გოგიბერიძემ მიუთითა ჩემზე. ბ-ნი კოტე გამესაუბრა, მე ვუთხარი, რომ სინდრომი 1955 წელს აღწერეს ამერიკელმა ქირურგმა ცოლინგერმა და პათანატომმა ელისონმა. ბატონმა კოტემ შემაქო და ამის შემდეგ ხშირად მახსენებდა ამ შემთხვევას.

სახელმწიფო გამოცდაზე თერაპიაში ბატონმა კოტემ, საგამოცდო ბილეთის საკითხებზე პასუხის გაცემის შემდეგ, დამისვა შეკითხვა კუჭის რეზექციის შემდგომ ანასტომოზის პეპტიური წყლულის წარმოშობის მიზეზების შესახებ. ამ მიზეზთა შორის, რა თქმა უნდა, დავასახელე ცოლინგერ-ელისონის სინდრომი. ბატონი კოტე მიუტრიალდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს, გამოჩენილ მეცნიერს, ექიმს, პედაგოგს, სახელმწიფო მოღვაწეს, შესანიშნავ ქირურგს და პიროვნებას და უთხრა: ნახეთ, ცოლინგერ-ელისონის სინდრომი ახსენაო, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს სინდრომი მისთვის უცნობია და მთხოვა, მომეხრო მის შესახებ. რა თქმა უნდა, თხოვნა, რომელიც ჩემთვის ბრძანების ტოლფასი იყო, შევასრულე. ამ ფაქტმა ჩემს თვალში უფრო ამაღლა პატივისცემა და სიყვარული იმ დიდი პიროვნების მიმართ. მხოლოდ ნაღდ მეცნიერს, დიდ პიროვნებას და უკომლექსო ადამიანს შეუძლია ასე მოქცევა. ამის შემდეგ წესად მივიღე, რომ როდესაც სტუდენტი ან კოლეგა შეეხება ჩემთვის უცნობ საკითხს, აუცილებლად ვაცხადებ ამას და ვთხოვ დაწვრილებით განმარტებას, არ ვიჭერ „ყველაფრისმცოდნის“ პოზას. მე მგონი, ეს ერთადერთი სწორი პოზაციაა. ამის მაგალითი მივიღე თერაპიაში სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებისას.

მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრების მანძილზე ვგრძნობდი ბატონი კოტესგან თანადგომას და აქტიურ მხარდაჭერას...

სტუდენტობის პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში იყო ინციდენტი ინსტიტუტის რექტორთან, პროფესორ პეტრე გელბახთან. ვიყავი მეზუთე კურსზე,

როდესაც ჩატარდა კომკავშირის კომიტეტის მორიგი არჩევნები. კრების წინ კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მაცნობა, რომ აპირებდა ჩემს გაკრიტიკებას. ვუთხარი, რომ უპასუხოდ არ დავტოვებდი მის გამოვლას. კრებას ესწრებოდნენ რექტორატის წევრები, პროფესორ-მასწავლებლები, პარტიის და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, ასევე, რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენებაში მართლაც გაისმა კრიტიკა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მისამართით. მოვითხოვე სიტყვა, რაზედაც კრების თავმჯდომარემ უარი მითხრა, გამოვთქვი პროტესტი. საქმეში ჩაერია რექტორი, რომელმაც მთხოვა, თავი შეემკავებინა გამოსვლისგან. რექტორის ამგვარი ჩარევა კრების მსვლელობაში დემოკრატიის პრინციპების დარღვევად შევაფასე და დემონსტრატულად დავტოვე კომკავშირის კრება. გამომყვა კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩემი მეგობარი ზეზუა ლულუნიშვილი, რომელმაც გადმომცა რექტორის თხოვნა, დავბრუნებულყავი კრებაზე, რაზედაც კატეგორიული უარი განაცხადე. შემდეგ გავიგე, რომ კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს, უთხოვია რექტორისათვის, როგორმე არ დაეშვა ჩემი გამოსვლა კრებაზე!!!

მიუხედავად ამისა, ინციდენტთან დაკავშირებით, მქონდა მძიმე განცდები – ველოდი რექტორთან გამომძახებას. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი მკაცრად გამისწორდებოდა, ახალგაზრდული თავდაჯერებულობით ვემზადებოდი პასუხისთვის. ინციდენტიდან მესამე დღეს, მართლაც, გამომიძახა რექტორმა. ჩემდა გასაოცად, იგი ძალიან თბილად შემხვდა, რამაც მთლად დამაბნია, – არ მოველოდი ამას შენგანო, – მითხრა. წინასწარ მომზადებული სიტყვის თქმას აზრი აღარ ჰქონდა. ჩემდა უნებურად წარმოვთქვი: ექსცესი მომივიდამეთქი; – ექსცესი რაღაა, ბიჭოო, – მითხრა ბ-ნმა პეტრემ. გავაცანი საქმის ნამდვილი ვითარება, მოვუხადე ბოდიში და ვთხოვე ამ ინციდენტის შესახებ აღარ შეეხსენებინათ ჩემთვის. მართლაც, ოფიციალურად ამ ინციდენტზე საუბარი ინსტიტუტში აღარ განაბლებულა.

რაც შეეხება პარტიის და კომკავშირის რაიკომებს, როგორც მოგვიანებით ვავიგე, იქ საქმე მოაგვარა პროფესორმა მ. სააკაშვილმა. იგი მივიდა რაიკომში და დააწყნარა ინციდენტის გამო შემოფოტებული ხელმძღვანელები. ჩემთვის მთავარია ის, რომ ბ-მა მიხეილმა ეს ყველაფერი გავაკეთა საკუთარი ინიციატივით.

კონკრეტები

მიწვევით ყაზახეთში



ყაზახეთის ჯანდაცვის სამინისტროს და ონკოლოგიურ პაციენტთა მხარდაჭერის საზოგადოებრივ ფონდ -

„ზდოროვია აზიას“ მიწვევით, ყაზახეთში იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, საქართველოში პალიატიური მზრუნველობის სფეროს ერთ-ერთ ორგანიზატორი, ბატონი **მიხეილ შავდია**. მან 14-15 ივნისს ალმა-ათაში ჩაატარა მასტერ-კლასი თემაზე „**პალიატიური მზრუნველობა: ბავშვთა პალიატიური მზრუნველობის სამსახურის ორგანიზება ყაზახეთში**“.

გარდა ამისა, ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ყაზახეთში მოღვაწე ონკოლოგებისთვის ქართველმა მედიკოსმა წაიკითხა ლექცია თემაზე - „**ქრონიკული ტვივის მართვის ძირითადი პრინციპები**“.



ბატონი მიხეილ შავდია საზოგადოებრივი ფონდ „ზდოროვია აზიას“ მიერ საერთაშორისო ნომინანტის უმაღლესი ნოდებით დაჯილდოვდა შუა აზიაში ბავშვთა პირველი ჰოსპისის დაფუძნებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის.

ზარქოძენი - კუჩინოვიძის სენი

მონობრაფია ფსიქიატრიისთვის და არა მარტო მათთვის...

ქართული სამედიცინო ლიტერატურა გამდიდრდა საინტერესო, აქტუალური საკითხისადმი მიძღვნილი მონობრაფიით. გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი ექიმების აკაკი გამყრელიძის, ირაკლი გიორგობიანის და შოთა გამყრელიძის ნაშრომი „აზარტომანია XXI საუკუნის ნარკომანია.“ თბილისი 2011.

კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იცნობს აზარტულ თამაშებს, ისიც ცნობილია, რომ ადამიანი ჩველი ასაკიდან გარემოსთან კავშირის თამაშით იწყებს - ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, ბავშვი მიმართავს თამაშს. ზრდასთან ერთად იცვლება თამაშთან დამოკიდებულება. სწორედ ამის გამო კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ნარკომანია კოჭით თამაში, სათამაშო კამათლები, ბანქოს ბარათები (კარტი). ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული გავრცელება და განვითარება ჰპოვა, ვინაიდან დაუკავშირდა ფულის მოგებას, რამაც თამაში აქცია შემოსავლის წყაროდ და სათავე დაუდო აზარტომანიას.

ბანქოს თამაშის დიდი მოყვარულები იყვნენ დიდი პოეტები გ. დერუჟაინი და ა. პუშკინი. უინსტონ ჩერჩილს საგარეო საქმეთა მინისტრად მოღვაწეობის წლებში ჰქონდა თანამდებობა „ბ-ტონ ჩერჩილის პარტნიორი ბრიჯის თამაშისათვის“. მარგარეტ ტეტჩერს ასეთი სამტატო ერთეული არ ჰქონია, მაგრამ ითვლებოდა ბრიჯის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ. დღესაც ბანქოს თამაშობენ მთელ მსოფლიოში. საინტერესოა, რომ ბანქოს თამაში აუცილებელი საგანია ნატოს ქვეყნების სამხედრო აკადემიის სტუდენტებისათვის.

აზარტული თამაშებისადმი პათოლოგიურ დამოკიდებულებას განსაკუთრებული სტიმიული მისცა და ხელი შეუწყო ამერიკელი განგსტერის ბ.სიგელის (სიგელბაუმი, იგივე „ბაქსი“) მიერ ამერიკაში „მშრალი კანონის“ მოქმედების პერიოდში, სპირტიანი სასმელებით არალეგალური ვაჭრობით დაგროვილი კაპიტალით, კაზინოების გახსნამ. ავტორები სავესებით სამართლიანად თვლიან, რომ სწორედ მაშინ ჩაე-

ყარა საფუძველი თანამედროვე აზარტომანიას, გაჩნდა პირველი მსხვერპლიც - დაბალი თვითშეფასების პიროვნებები, რომლებიც აზარტული თამაშების გამო ეკონომიკურ გადატაკებაში ადანაშაულებდნენ არა საკუთარ თავს, არამედ იღბალს და საზოგადოებას, რომელიც მათ ვერ უგებს. მოხდა უამრავი ტრაგედია, რასაც მოჰყვა, რიგ ქვეყნებში, მათ შორის საბჭოთა კავშირში, სათამაშო ბიზნესის აკრძალვა. რა თქმა უნდა ეს იყო პრობლემის გადაჭრის არასწორი გზა, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც **ს ა მ ა რ თ ი ა ნ ა** და აღნიშნავენ ავტორები, თამაშებისადმი პათოლოგიური დამოკიდებულება ვითარდება მოთამაშეთა მცირე ნაწილში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში აზარტული თამაშების **ლ ე გ ა ლ ი ზ ა ც ი ა** მ და სხვა სოციალურმა ფაქტორებმა, გამოიწვიეს ჩვენ ქვეყანაში აზარტომანიით შეპყრობილთა კატასტროფული მატება, როგორც მამაკაცებში ასევე ქალებში, რასაც მოჰყვა არაერთი ოჯახის მატერიალური კატასტროფა.

ს ა რ ე ც ე ნ ზ ი ო მონობრაფიის ღირებულებას უდაოდ ზრდის ის, რომ მასში მოცემულია დღევანდელი მსოფლიოს უაღრესად აქტუალური პრობლემის ღრმა მეცნიერული ანალიზი. ნაჩვენებია მისი ჩამოყალიბების გზები, განვითარების პერსპექტივები. იკვეთება მონობრაფიის ავტორთა საგრძნობი წვლილი არაქიმიური ფაქტორებით გამოწვეული აზარტომანიის ცნების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში. განხილულია აზარტომანიის ეპიდემიოლო-

გია, გენეტიკური, ფსიქოლოგიური, პიროვნული, ნეიროქიმიური, მორფოფუნქციური, სოციალური ფაქტორების როლი სნეულების ეთიოპათოგენეზში. ავტორებს განხილული აქვთ აზარტომანიის ისეთი, დღევანდელი მსოფლიოსათვის აქტუალური ფორმები, როგორცაა კომპულსური შოპოგოლია - ფუ-

მოპარვის გადაულახავი სურვილი, პირომანია - მისწრაფება ხანძრის გაჩენისადმი, დრომომანია - მისწრაფება სახლიდან გაქცევისა და მოუშადადებელი მოგზაურობისაკენ, დიფსომანია - იმპულსური გადაულახავი თრობა.

სარეცენზიო ნაშრომი აზარტომანიისადმი მიძღვნილი პირველი მონობრაფია ქართულ ენაზე და ალბათ ერთ-ერთი პირველი მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში. ის, რომ ავტორებმა შრომა გამოაქვეყნეს ქართულ ენაზე, მეტყველებს მათ პატრიოტიზმსა და ეროვნულობაზე. საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მეცნიერების მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მონობრაფიები თუ სამეცნიერო შრომები აუცილებლად პირველად უნდა გამოქვეყნდეს საქართველოში. სამეცნიერო საზოგადოების და საერთოდ დაინტერესებული მკითხველის შეფასების შემდეგ, პროფესორ **ს ა ს ო ც ი ა ც ი ე ბ მ ა** უნდა იზრუნონ ღირებული ნაშრომების გადა-

- საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი და ბატონი შოთა გამყრელიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, ქართველ მედიკოს მეცნიერ კავკასიონის ერთ-ერთი უსპეტაკესი და უმაღლესი მწვერვალი, ექიმთა მრავალი თაობის მოძღვართ - მოძღვარი, უმაღლესი კომპეტენციით, ეროვნული პირველი პროფესორი, რომელიც 89 წლის ასაკში განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას. მას ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იაპონურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 300-მდე შრომა, მათ შორისაა 17 მონობრაფია, ფსიქიატრიის აქტუალურ საკითხებზე. ბ-ნი შოთა ფსიქოფარმაკოლოგიური მიმართულების ფუძემდებელია საქართველოში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის, რომ იგი ღირსეულად ზიდავს იმ უმძიმეს ტვირთს, რაც შვილის დაღუპვასთან არის დაკავშირებული.

დარწმუნებული ვარ, სარეცენზიო მონობრაფია სამაგიდო ნიგნი გახდება არა მხოლოდ ფსიქიატრებისა და სხვა პროფილის ექიმებისათვის, არამედ მათთვისაც ვინც დაინტერესებულია თანამედროვე კაცობრიობის ისეთი ფუნდამენტური მიღწევებით, როგორც არის კომპიუტერი და ინტერნეტი, ეს კი საზოგადოების საკმაოდ დიდ სეგმენტს მოიცავს.

ბოლოს სიხარული მინდა გამოვთქვა იმის გამო, რომ მრავალი პრობლემის და წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართული მეცნიერება, კერძოდ სამედიცინო მეცნიერება, განაგრძობს არა მხოლოდ არსებობას, არამედ წინსვლასაც. ამის ბრწყინვალე მაგალითია სარეცენზიო მონობრაფია „აზარტომანია XXI საუკუნის ნარკომანია“.

საქართველოს მედიკო - ბიოლოგიური აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი სულხან ქემოკლიძე საკონტაქტო ტელეფონი 899-58-22-41, 95-21-54, 22-71-92 (ბინა)



ლის აკვირებული ხარჯვა არასაჭირო საყიდლებში, თანამედროვეობისათვის სუპერაქტუალური კომპიუტერომანია და ინტერნეტომანია აქვე ვგებულობთ, რომ ლონდონში გაიხსნა სპეციალიზირებული საავადმყოფო კომპიუტერი და ინტერნეტომანიით შეპყრობილი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. არანაკლებ საინტერესოა თავი, სადაც განხილულია იმპულსური მიზიდულობები და ქმედებანი - კლუბტომანია -

თარგმნასა და უცხო ქვეყნებში გავრცელებაზე.

ორიოდე სიტყვით მინდა გააცნოთ მონობრაფიის ავტორები ბატონი აკაკი გამყრელიძე - ცნობილი მეცნიერი ნარკოლოგი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. მისი მოულოდნელი გარდაცვალება, პროდუქციულ ასაკში, დიდი დანაკლისია ქართული სამედიცინო მეცნიერებისათვის. ბატონი ირაკლი გიორგობიანი

შეხვედრა მოყვარულს

გიორგი ზანგური – სტუდენტების საყვარელი პოეტი



ახლახან ჩვენს უნივერსიტეტში თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით ჩამოყალიბდა ლიტერატურული სალონი, რომელიც ბევრ საინტერესო ღონისძიებას გვპირდება – შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, პოეტებთან, ახალგაზრდა შემოქმედებთან... ამჯერად მათი ინიციატივით შედგა შეხვედრა მართლაც საინტერესო და ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტთან, გიორგი ზანგურთან. საზოგადოებამ ის გაიცნო როგორც პოეტი, თუმცა დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია მისი წარმატებული სამსახიობო საქმიანობის შესახებაც (არცთუ დიდი ხნის წინ იგი მთავარი როლის შემსრულებლად ვიხილეთ ფილმში: „უშნოდ მგონი მოკვდები.“).

ბებზე... ემოციებით დატვირთული ყოველი სტრიქონი და თავად პოეტი... სამწუხაროდ, დროის სიმციროს გამო, სტუდენტებმა ვერ მოისმინეს მისი ბევრი ძალიან კარგი ლექსი, თუნდაც სამშობლოზე: „ბედნიერებაა, გაჩნდე ქართველად და თუ მეორედ მოსვლა არის შესაძლებელი, ვისურვებდი ისევ ქართველად დავბადებულყოფი. ჩემი ყოველი ნაბიჯიც, რასაც უნდა ვაკეთებდე, საკუთარი ქვეყნისა და ერისათვის გადადგმული ნაბიჯი გახლავთ...“ – ამბობს იგი ერთ ინტერვიუში და მისი შემოქმედებაც დამუხტულია ამგვარი ხედვით... მიუხედავად შეხვედრაზე შედარებით მწირად წარმოდგენილი საკუთარი ლექსებისა, მან მაინც საოცრად ამაღლებული განწყობა დატოვა, ისეთი, ჭეშმარიტი პოეზიის გაცნობისას რომ გიგრძნობია... სწორედ ასეთი განწყობისთვის გიტოვებთ მის ერთ ლექსს, დანარჩენს კი მისი ლექსების ორ კრებულში („ჩემს თანადედამინელს“ და „ნიგნი“) იპოვით – პოეტური ინტეგრალებით და ულამაზესი მეტაფორებით უხვად გაჯერებულში, – ამდენ სიყვარულს, ზოგჯერ – ტკივილს, გულწრფელ ემოციას თუ განცდას რომ იტევს...

ნატო ბოლქვაძე

ბავშვები - გაყვანილები

რატომ მიგვატოვა დედა?

პირმისაანთკარი – ასე ჰქვია დუშეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელს, სადაც უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი მდებარეობს. სწორედ ამ პანსიონატში მცხოვრები ბენეფიციარების მონახულებისა და სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვების იდეა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას, გაუზიარა პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ბატონმა თეიმურაზ პეტრიაშვილმა. ამ იდეამ რექტორისაგან დიდი მონონება დაიმსახურა და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, გიგა სორდიას, ორგანიზებით ექიმთა ერთი ჯგუფი პანსიონატს ეწვია.



პანსიონატი, როგორც მისმა დირექტორმა, ქალბატონმა დარეჯან თომაძემ, გვითხრა, 2010 წლის 1 ივლისიდან ფუნქციონებს და აქ მუდმივად ცხოვრობენ 18-დან 65 წლამდე ასაკის (გონებრივი ჩამორჩენილობით, მიზოფრენიით, ფსიქიკური

ვის საოჯახო უნარ-ჩვევები. აქ ღია სივრცე აქვთ. სეირნობენ ეზოში, თავისუფლად დადიან შენობაში, მომვლელის მეთვალყურეობით დუშეთშიც მიდიან სასურველი ნივთის შესაძენად (თითოელ მათგანს აქვს პენსია 70 ლარი). მათ უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, მათგან ყურადღება, ზრუნვა, სიყვარული, რადგანაც ახლო-



აშლილობით, უნარშეზღუდულობით) ადამიანები. მათზე მზრუნველობას ახორციელებს სახელმწიფო და ისინი უზრუნველყოფილი არიან როგორც კვებით, ისე ფსიქოტროპული პრეპარატებით, კარგი საცხოვრებელი პირობებით. ამჟამად პანსიონატში 50 ბენეფიციარი ცხოვრობს, აქედან ნაწილი სენაკისა და მარტყო-

ლაც მისმა დედობრივმა სითბომ ბევრს მასთან სამუდამოდ დარჩენა გადაწყვეტინა. „აქ ბედნიერი ვარ. ის, რაც ვერ მივიღე დედისგან, მომცა ქალბატონმა დარეჯანმა. მან ჩვენ გამო თითქმის მიატოვა თავისი ოჯახი და ჩვენთან ცხოვრობს, გვეფერება და გვეალერსება,“ – ამბობს სენაკელი თამარიკო, მას ეთანხმებიან ელენე, სიმპ,

ბლებიგან მიტოვებულნი ყველას ერთ კითხვას უსვამენ – „რატომ მიგვატოვა დედა?“ მათ ჩვენც ეს კითხვა დაგვისვეს, პასუხი გაგვიჭირდა... ისინი, სხვადასხვა ისტორიის მქონენი, ერთნაირი სატკივრით არიან გაერთიანებულნი – მშობლებისაგან უარყოფილნი.



ფის პანსიონატების მაცხოვრებლები არიან, რადგან აქ ისინი დიდ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან, რომელიც სულ მალე თბილისში ჩატარდება და სექტემბერში კვლავ თავიანთ პანსიონატებს დაუბრუნდებიან. ჩვენ, იქ მისულები, გაგვაოცა მათთვის შექმნილი გარე-

სოსო, ვალოდია, მანანა, დათო, ბიბი, თამარი და სხვები. როგორც ქალბატონმა დარეჯანმა აღნიშნა, ადრე გისოსებს მიღმა მყოფი ამ კონტიგენტისთვის მთავარი ოჯახური გარემოს შექმნა. „10 თვე დაგვჭირდა იმისთვის, რომ შეგვესწავლებინა მათ-

პროფილაქტიკური გასინჯვებისას მრავალმა მათგანმა გამოავლინა ექიმისადმი შიში, მაგრამ ექიმების მიერ მათდამი გამოჩენილმა საოცარმა სითბომ და აღერსმა ეს შიში მსწრაფლ გააქრო და შესაძლებელი გახდა კარდიოლოგიური, ოფთალმოლოგიური, ნევროლოგიური, თერაპიული, ექოსკოპიური გამოკვლევების ჩატარება.

საოცარი და დაუფინყარია ჩვენ მიმართ მათგან გამოვლენილი პატივისცემა და სიყვარული ჩატარებული კონცერტით, მომავადობელი ტკბილი ჰანგებით, სიტყვებით – „ჩვენთვის სტუმარი ღვთის გამოგზავნილია“ და სამასხოვრო სურათის გადაღებით.

წამოვდით და თან გამოგვყვა ჩვენგან უპასუხოდ დარჩენილი სულის ამანრიანობის მათი შეკითხვა – „რატომ მიგვატოვა დედა?“

ეს ჩვენც გვაინტერესებს – რატომ მიატოვა დედა?

მანანა ფხალაძე, დალი გაბუაია

გიორგი ზანგური

ჩემს თანადედამინელებს

არგძნობის ქალაქში სიყვარულს არ ცნობენ, არ ცნობენ იმ ნაცნობ ხეივანს, სადაც გაზაფხულზე კოცნები ანცობენ და ნუში კვირტობას ზეიმობს. პაემანს წყვილები ნიშნავენ მოწყენით, საათის ისარმა ღროება გაცვითა... ლურჯ ღამის ლარნაკში ყვავილებს მოწყდებით, ყვავილებს მოწყდებით ცრემლებად დაწვიდან... აღარ მაქვს ქალების განწყობის ატანა!... ატმებით ვეფერე, დახორკლილ ატმებით... ყანწივით ქვეყანა რამ შემომატარა? — ზოგჯერ რა უაზრო სურვილით ატყდები... მე მინდა გაჩუქოთ სამყაროს ნაწილი, მე რომ არ მეკუთვნის არც ერთი მტკაველი... არც მინდა! — მეყოფა სამშობლოს მანძილი, ყანები — სიბრძნისგან დახრილი თავებით. მე სუნთქვა შეკრული დაგაკვდი ბასიანს, აჯანყდა სისხლი და ძარღვებში ომია! ვენახის დალაღებს, თმალერწამვა ზიანს განაცვლე, რა ტკბილი მტყვანი ჰქონია. ო, ერთხელ მე თქვენი ქეიფი მანახა... რითი სვამთ? ჭიქით თუ კრამიტზე მდინარით? ვინ არის ის გმირი მიწა რომ გალახა და მთები დასივდა... გინახავთ ვინ არის? უსმინეთ... ქართველი ღიღინებს „გუთანოს“, ხარები შეუბამს ნახევარმთვარეში. ცა გინდა სახნაფად რომ ჩამოუტანო — ვარსკვლავებს დათესდა დალოცვილ მხარეში.